საქართველოს კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის სამინისტრო

სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის
დირექტორი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 290
23/10/2023

290-2-4-202310232006

საქართველოში აკრედიტებული უნივერსიტეტების კინომცოდნეობის და კინოჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტებისთვის კონკურსის ,,წერე ქართულ კინოზე“ გამოცხადებისა და საკონკურსო დებულების დამტკიცების შესახებ

,,ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს №3/256 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ი“ და ,,მ“ ქვეპუნქტების, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ო“ და ,,ტ“ ქვეპუნქტების, მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის ,,თ” ქვეპუნქტისა და სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის კინოხელოვნების პოპულარიზაციის დეპარტამენტის კინოგანათლების მიმართულების მენეჯერის თეა გაბიძაშვილის 2023 წლის 20 ოქტომბრის №1-380 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2023 წლის 23 ოქტომბერს გამოცხადდეს კონკურსი საქართველოში აკრედიტებული უნივერსიტეტების კინომცოდნეობის და კინოჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტებისთვის ,,წერე ქართულ კინოზე“ და დამტკიცდეს საკონკურსო დებულება ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად.

2. დამტკიცდეს კონკურსში ,,წერე ქართულ კინოზე“ მონაწილეობის მსურველთათვის თანდართული განაცხადის ფორმა - დანართი №2.

3. ამ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მიხედვით, კონკურსის ,,წერე ქართულ კინოზე“ გამარჯვებულთათვის დაწესდეს ჯილდო პირველი, მეორე და მესამე ადგილებისთვის:

ა) პირველი პრიზი - 3 000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით.

ბ) მეორე პრიზი - 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

გ) მესამე პრიზი - 1 000 (ათასი) ლარის ოდენობით.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

კობა ხუბუნაია

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი